



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის
31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

ბატონო რატი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. შედეგად, გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში“ (<https://aris.sao.ge/>).

პატივისცემით,

ერეკლე მექვაბიშვილი

გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	12
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები.....	18
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა..	19
საკონტაქტო ინფორმაცია	22

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ბილინგის სისტემა – სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული სისტემა, სადაც ცენტრალიზებულად მიმდინარეობს კლიენტების მიერ მომსახურების საფასურის გადახდა და აღრიცხვა.

აღსრულების ეროვნული ბიურო – სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო – სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

ეროვნული არქივი – სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი – სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

იუსტიციის სახლი – სსიპ – იუსტიციის სახლი.

მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი – სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

საჯარო რეესტრის სააგენტო – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სერვისების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

საკანონმდებლო მაცნე – სსიპ – საკანონმდებლო მაცნე.

ციფრული მმართველობის სააგენტო – სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო.

1. რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

1.1 ქონების ინვენტარიზაცია

აუდიტის მიგნება

საჯარო რეესტრის სააგენტოში არ დასრულებულა 2020 წელს დაწყებული ქონების ინვენტარიზაცია, ხოლო სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოვლინდა 1,491,823 ლარის¹ აქტივების დანაკლისი, მათ შორის:

491,184 ლარის მარაგების დანაკლისთან დაკავშირებული დოკუმენტაცია² იუსტიციის სამინისტროს მიერ, შემდგომი რეაგირების მიზნით გაგზავნილია³ საქართველოს პროკურატურაში;

დარჩენილი დანაკლისის რეალური მიზეზების დადგენისა და შემდგომი მოკვლევის მიზნით საქმე გადაეცა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას,⁴ რომელმაც საკითხის განხილვის შემდგომ, შემდგომი გამოკვლევისა და სრულყოფის მიზნით საქმე⁵ დაუბრუნა⁶ პენიტენციურ სამსახურს.

მიზეზი

აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები, აქტივების დაცულობის რისკები.

რეკომენდაცია

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, საჯარო რეესტრის სააგენტომ ინვენტარიზაცია ჩატაროს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით, უზრუნველყოს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისებთან მიმართებით კანონმდებლობით⁷ გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

¹ 1,142,232 ლარის მარაგები, 349,591 ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი საშუალებები.

² სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფროსის წერილი N307831/01, 30.12.2020 (მედიკამენტები).

³ წერილი N01/13-8838, 05.02.2021.

⁴ 2021 წლის 7 აპრილი და 2021 წლის 21 აპრილის წერილები გრიფით „საიდუმლო“.

⁵ 651,048 ლარის მარაგების და 349,591 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებების დანაკლისი.

⁶ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 11 აგვისტოს საიდუმლო მოხსენებითი ბარათი გრიფით „საიდუმლო“.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც საჯარო რეესტრის სააგენტო, სპეციალური პენიტენციური სამსახური.
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

1.2 ფასეულობების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული ნაკლოვანებები იუსტიციის სახლში

აუდიტის მიგნება	იუსტიციის სახლში აუდიტის შედეგად გამოვლენილია არაფინანსური აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული შემდეგი ნაკლოვანებები: ა) არაფინანსური აქტივების უარყოფითი ნაშთები სააღრიცხვო პროგრამაში; ბ) არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციები ანალიზური აღრიცხვის გარეშე (საწყისი ნაშთების, დასახელებების, რაოდენობის, დოკუმენტაციის, შინაარსის მითითების გარეშე); გ) მოძრავ ძირითად საშუალებებზე არ არიან განსაზღვრულნი მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, რის გამოც ფაქტობრივად ექსპლუატაციაში არსებული მოძრავი ძირითადი საშუალებები, რიც შემთხვევებში კვლავ ცენტრალურ საწყობზე ირიცხება; დ) 2020 წელს იუსტიციის სახლს გადაეცა 80-მდე საზოგადოებრივი ცენტრი სერვისების სააგენტოდან, თუმცა ფასეულობების აღრიცხვა პროგრამულად ხდება ერთიანად და არ წარმოებს ანალიზური აღრიცხვა თითოეული ქვეერთეულის მიხედვით.
მიზეზი	აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.
გავლენა	არაფინანსური აქტივების აღრიცხვას, კონტროლსა და დაცულობასთან დაკავშირებული რისკები.
რეკომენდაცია	აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების სრული და ზუსტი აღრიცხვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია: ა) შემუშავდეს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური მარაგების და ძირითადი საშუალებების სათანადო ანალიზურ აღრიცხვას და მინიმუმამდე შეამცირებს შეცდომების რისკს; ბ) მოძრავ ძირითად საშუალებებზე განისაზღვრონ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც იუსტიციის სახლი.
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

1.3 მოთხოვნების აღრიცხვა და კონტროლი

1.3.1 ხანდაზმული მოთხოვნები	საჯარო რეესტრის სააგენტოში, ეროვნულ არქივსა და სერვისების სააგენტოში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოთხოვნების“ მუხლის ნაშთი მოიცავს 226,656 ლარის⁸ ხანდაზმულ დებიტორულ დავალიანებებს.
-----------------------------	--

⁸ ეროვნული არქივი - 91,335 ლარი; საჯარო რეესტრის სააგენტო - 124,649 ლარი; სერვისების სააგენტო - 10,672 ლარი. 2020 წელს ეროვნულ არქივს განხორციელებული აქვს სხვადასხვა ღონისძიება ხანდაზმულ დებიტორებთან მიმართებით. აღნიშნული ციფრები წამოადგენს დარჩენილ

მიზეზი	ხანდაზმული მოთხოვნების რეალობის დადგენასთან, პირველადი დოკუმენტაციის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები.
გავლენა	ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების გაზრდილად წარმოდგენა.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიური ინვენტარიზაციის საფუძველზე დადგინდეს ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების რეალობა, მათი ამოღების ალბათობის შეფასება, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საჯარო რეესტრი სააგენტო, ეროვნული არქივი.
1.3.2 სასამართლო დავებთან დაკავშირებული მოთხოვნა-ვალდებულებების აღრიცხვა	სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, იმ დავების ჯამური მოცულობა, რომლებზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება⁹ და შესაძლოა წარმოიქმნას ვალდებულება, შეადგენს 31,685,465 ლარს,¹⁰ ხოლო ისეთი დავების მოცულობა, სადაც უწყებები წარმოადგენენ მხარეს, შეადგენს 527,287 ლარს.¹¹ სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, შესაბამისად არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.
მიზეზი	არასრულყოფილი კონტროლი.
გავლენა	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოთხოვნების და ვალდებულებების არასამართლიანი წარდგენა.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამინისტროს და მის დაქვემდებარებულ უწყებებში შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავების აღრიცხვასთან დაკავშირებით, რაც უნდა მოიცავდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასებას, და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.
კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელთა დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები.

ნაშთს რომელიც საჭიროებს დამატებით შესწავლას, ხოლო სერვისების სააგენტოს მიერ ხანდაზმული დავალიანებები ჩამოწერილია 2021 წელს.

⁹ ინფორმაცია არ მოიცავს შრომით დავებს, რაც ეხება განაცდურის ანაზღაურებას: ვინაიდან გადასახდელი თანხის ოდენობა დამოკიდებულია დავის დასრულების დროზე, გადასახდელი თანხის წინასწარ ზუსტი შეფასება ვერ ხდება.

¹⁰ საჯარო რეესტრის სააგენტო - 30,516,848 ლარი, აღსრულების ეროვნული ბიურო - 888,402 ლარი, იუსტიციის სახლი - 140,000 ლარი, სერვისების სააგენტო - 110,215 ლარი, დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო - 30,000 ლარი.

¹¹ აღსრულების ეროვნული ბიურო - 82,376 ლარი, სპეციალური პენიტენციური სამსახური - 4,264 ლარი, იუსტიციის სახლი - 425,420 ლარი, სერვისების სააგენტო - 15,227 ლარი.

1.4 ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული უძრავი ქონება

აუდიტის მიგნება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს სისტემის სხვადასხვა ერთეულის ბალანსზე აღრიცხულია შენობა-ნაგებობები, მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობები, რომლებიც არ იმყოფება მათ ფაქტობრივ სარგებლობაში. ინფორმაცია აღნიშნული აქტივების ღირებულების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი N1. ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული ქონების ღირებულების შესახებ

საბალანსო ერთეული	კატეგორია	ღირ-ბა (01.01.2020)	ღირ-ბა (31.12.2020)
სპეციალური პენიტ. სამსახური	შენობები, მიწა	8,972,217	8,804,734
სპეციალური პენიტ. სამსახური	დაუმთ. მშენებ.	15,800	15,800
აღსრულების ეროვნული ბიურო	შენობები	407,411	241,423
აღსრულების ეროვნული ბიურო	დაუმთ. მშენებ.	26,694	26,694
საჯარო რეესტრის სააგენტო	შენობები, მიწა	106,620	106,451
სულ:		9,528,742	9,195,102

მიზეზი

ქონების ფაქტობრივ მოსარგებლებთან არ არის გაფორმებული ურთიერთშეთანხმება ქონებაზე გაწეული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებების გადაცემასთან დაკავშირებით.

გავლენა

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები წარმოდგენილია გაზრდილი ღირებულებით.

რეკომენდაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების სამართლიანად წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია, სამინისტროს დაქვემდებარებულმა ერთეულებმა უზრუნველყონ ქონებების ფაქტობრივად მოსარგებლე ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მათ გადაეცეთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებები.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სპეციალური პენიტენციური სამსახური, აღსრულების ეროვნული ბიურო.

1.5 ღირებულების გარეშე აღრიცხული არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

საჯარო რეესტრის სააგენტოს, იუსტიციის სახლის და სერვისების სააგენტოს სარგებლობაში არსებული მიწები, ჯამურად 20,408 კვ.მ,¹² არ არის შეფასებული და ღირებულებით ასახული ძირითადი აქტივების ანგარიშზე.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სერვისების სააგენტოს და აღსრულების ეროვნულ ბიუროს¹³ ფინანსურ ანგარიშგებაში 49,353 ერთეული სპეციფიკური

¹² იუსტიციის სახლი - 5,500 კვ.მ, სერვისების სააგენტო - 146 კვ.მ, საჯარო რეესტრის სააგენტო - 14,754 კვ.მ.

¹³ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მარაგების შეფასება განახორციელა 2021 წლის 26 აგვისტოს (დასკვნა N53458, 26.08.2021).

	მატერიალური მარაგი ¹⁴ ასახულია მხოლოდ რაოდენობრივად, არ არის ღირებულებით შეფასებული.
მიზეზი	ობიექტის განმარტებით, აქტივების შეფასებისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილი არ არის.
გავლენა	ფინანსურ ანგარიშგებაში მიწა, შენობა-ნაგებობები და მატერიალური მარაგები წარმოდგენილია შემცირებულად.
რეკომენდაცია	ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, საჯარო რეესტრის სააგენტომ, იუსტიციის სახლმა და სერვისების სააგენტომ განახორციელონ ღირებულების გარეშე არსებული აქტივების შეფასება და ბალანსზე ასახვა.
კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სპეციალური პენიტენციური სამსახური, იუსტიციის სახლი, საჯარო რეესტრის სააგენტო, სერვისების სააგენტო.

1.6 იუსტიციის სახლის თბილისის ფილიალის ექსპლუატაციაში მიღების საკითხი

აუდიტის მიგნება	იუსტიციის სახლის თბილისის ფილიალი, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად 2012 წლიდან ფუნქციონირებს, არ არის ექსპლუატაციაში მიღებული.
მიზეზი	მშენებლობის შეთანხმებულ პროექტთან შეუსაბამობა.
გავლენა	არ არის აღმოფხვრილი შენობის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზი.
რეკომენდაცია	შენობის ექსპლუატაციაში მიღების პრობლემის აღმოფხვრის, ფაქტობრივ სარგებლობასთან და სწორად აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, იუსტიციის სახლმა შეადგინოს დროში გაწერილი გეგმა იუსტიციის სახლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზის/ნაკლოვანების იდენტიფიცირებისა და გამოსწორების მიზნით.
კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	იუსტიციის სახლი.

1.7 შემოსავლების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება	სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს შემოსავლების სისტემა მოიცავს ყოველდღიურ რუტინულ და მრავალრიცხოვან ოპერაციებს, რომელთა დარიცხვის მეთოდის საფუძველზე აღრიცხვა მოითხოვს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მხარდაჭერას და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არსებობას, რაც დღეის მდგომარეობით აღნიშნულ სსიპ-ებში შემუშავებული არ არის.
------------------------	--

¹⁴ აღსრულების ეროვნული ბიურო: 2000 ერთეული სპეციფიკური გამოყენების მარაგი; სპეციალური პენიტენციური სამსახური და სერვისების სააგენტო, შესაბამისად, 44,210 ერთეული და 3,143 ერთეული სხვადასხვა ტიპის მარაგი.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება ინფორმაცია მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ.

აუდიტის შედეგად, ბილინგის სისტემაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია 786,807 ლარის განაცხადი,¹⁵ რომელსაც აქვს სტატუსი – „მიმდინარე“, შესაბამისად, თანხა ნაცვლად შემოსავლისა, უნდა აღიარდეს, როგორც კრედიტორული დავალიანება (მიღებული ავანსი).¹⁶

აღსრულების ეროვნულ ბიუროში სადეპოზიტო ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებით გამოვლენილია შემდეგი გარემოებები, რომლებიც ასევე გავლენას ახდენს შემოსავლების აღრიცხვაზე:

- 1) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადეპოზიტო ვალდებულებების ანგარიშზე არსებული ნაშთი მოიცავს 147,141,234 ლარის ღირებულების 109,000-მდე საქმეს, ნაშთების და ოპერაციების კონტროლისთვის არ არსებობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა დამუშავება ხდება მანუალურად, MS Excel-ის პროგრამაში;
- 2) შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო, სადეპოზიტო ვალდებულებების ბუღალტრულად აღრიცხვა არ წარმოებს ინდივიდუალურად, კრედიტორების მიხედვით. საბუღალტრო ანგარიშზე თანხების ზრდა და შემცირება აისახება ჯამურად, ბანკის ამონაწერებში დაფიქსირებული თანხების შესაბამისად. ნაშთები მოიცავს გირაოს თანხებს, სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ, ასევე კანონმდებლობით დადგენილ, ბიუროს მომსახურების საფასურის თანხებს. მათი ოდენობა დგინდება ამოღებული თანხების განკარგვის შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე (საფასურის განკარგვის შესახებ მიმართვა), რომლის შედგენაც ხშირ შემთხვევებში ხდება საანგარიშო წლის დასრულებამდე, რის საფუძველზეც ბიუროს საფასურის თანხით სადეპოზიტო ვალდებულების ანგარიშში უნდა შემცირდეს და თანხა აღიარდეს შემოსავლად. აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შემოსავლებიდან 1,923,069 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) წარმოშობის თარიღია 2019 ან წინა წელი და, შესაბამისად, არ წარმოადგენს 2020 წლების შემოსავალს, ასევე 2020 წელს გამომუშავებული¹⁷ შემოსავლების ნაწილი 568,488 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) ოდენობით, არ არის აღიარებული 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვასთან დაკავშირებული სირთულე.

მიზეზი

¹⁵ საჯარო რეესტრის სააგენტო - 270,926 ლარი; სერვისების სააგენტო: - 515,881 ლარი.

¹⁶ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (დარიცხვის მეთოდის განმარტება).

¹⁷ დაანგარიშების თარიღი: 2020 წელი.

გავლენა

შემოსავლების აღრიცხვის სისრულესა და სიზუსტესთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

შემოსავლების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით:

- J სერვისებისა და საჯარო რეესტრის სააგენტოებმა უზრუნველყონ ისეთი IT სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით;
- J სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების ოპერატიული და სრულყოფილი კონტროლის, ასევე შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მომზადების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც**გაიცა რეკომენდაცია****შესასრულებლად**

საჯარო რეესტრის სააგენტო, სერვისების სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო.

1.8 შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები**აუდიტის მიგნება**

იუსტიციის სახლის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, სერვისების სააგენტოს და დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა მათი ანგარიშების მიხედვით, მოიცავს თანამშრომელთა სამსახურებრივი დისციპლინისა და საქმიანობის კანონიერების შემოწმებას, რაც რეალურად ნიშნავს ინსპექტირებას და არ შეესაბამება „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით¹⁸ შიდა აუდიტის სუბიექტისთვის განსაზღვრულ საქმიანობის მასშტაბს. საქართველოს მთავრობის N391 დადგენილების – „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალის და მათში შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის და განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“¹⁹ – შესაბამისად, **საჯარო რეესტრის სააგენტოში** შიდა აუდიტის სტრუქტურული დანაყოფის შექმნა და მის მიერ აუდიტორული საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია 2018 წლიდან, თუმცა სააგენტოში არ არის შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტი (არსებობს შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც ინსპექტირებას ახორციელებს). საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, 2021 წლიდან დაწყებულია მუშაობა, მომზადებულია დებულების პროექტი.

სერვისების სააგენტოს დებულების თანახმად, შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სააგენტოში არსებული ინფრასტრუქტურის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და მოქმედი ელექტრონული პროგრამების აუდიტი“, თუმცა სამსახურის მიერ აღნიშნული ამოცანა არ სრულდება.

¹⁸ საქართველოს 2011 წლის 9 დეკემბრის კანონი N 5447, მუხლი 18, პუნქტი 2.

¹⁹ 2016 წლის 12 აგვისტო.

სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, დაწყებულია მუშაობა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რა მიზნითაც 2021 წელს კონკურსის წესით განხორციელდა IT აუდიტორის მიღება.

მიზეზი

შესაბამისი საკადრო რესურსის სიმცირე.

გავლენა

კანონმდებლობასთან შეუსაბამობა, შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანება.

რეკომენდაცია

იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, შიდა აუდიტის წლიური გეგმით განისაზღვროს კანონით²⁰ გათვალისწინებული სხვადასხვა საქმიანობა, კერძოდ: დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება, ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სისრულის და სიზუსტის შეფასება და ა.შ.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია

საჯარო რეესტრის სააგენტო, სერვისების სააგენტო, იუსტიციის სახლი, დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო.

1.9 სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის არარსებობა

აუდიტის მიგნება

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სამინისტროში (სამინისტროს აპარატის, ეროვნული არქივის, მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრისა და ციფრული მმართველობის სააგენტოს გარდა) არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა.²¹ აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკამ ასევე უნდა განსაზღვროს არაფინანსური აქტივების კლასიფიცირების (მატერიალური მარაგი, ძირითადი საშუალება) თანხობრივი ზღვარი, რა შემთხვევაშიც ორგანიზაციას შეუძლია იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით²² დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციით.²³

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობით არის გამოწვეული სხვადასხვა საბალანსო ერთეულში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით (ძირითადი აქტივები, ცვეთის ხარჯი, ქონების გადასახადის

²⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 4, „ა“ ქვეპუნქტი.

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, თავი I, პუნქტი 5.

²³ სადაც მცირეფასიან აქტივად განიხილება 500 ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე ძირითადი აქტივი.

ხარჯის აღიარება, ჯარიმებიდან/პირგასამტეხლოებიდან მიღებული შემოსავლები) აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის არსებობა.

მიზეზი

სისტემის შიგნით ერთსა და იმავე საკითხთან მიმართებით საერთო მიდგომის ჩამოყალიბების სირთულე.

გავლენა

სხვადასხვა საბალანსო ერთეულებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით (ძირითადი აქტივები, ცვეთის ხარჯი, ქონების გადასახადის ხარჯის აღიარება) აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის არსებობა.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტროში შემავალმა საბალანსო ერთეულებმა სამინისტროსთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან, ინფორმაციის გამოტოვებასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას, ასევე განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია

სამინისტროს ყველა დაქვემდებარებული უწყება (სამინისტროს აპარატის, ეროვნული არქივის, მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრისა და ციფრული მმართველობის სააგენტოს გარდა).

1.10 ფასეულობებზე მატერიალურად პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულებების გაფორმება

აუდიტის მიგნება

საჯარო რეესტრის სააგენტოს ცენტრალურ საწყობსა და სხვა დანაყოფებში, სადაც ხდება ფასეულობების მიღება, შენახვა და განაწილება, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე, რაც შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან.²⁴ აღნიშნული დამატებით წარმოშობს აქტივების დაცულობასთან დაკავშირებულ რისკებს.

მიზეზი

არაფინანსური აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

აქტივების დაცულობასთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ცენტრალურ საწყობსა და ყველა იმ ქვედანაყოფში, სადაც მიმდინარეობს ფასეულობების მიღება, შენახვა და განაწილება, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან გაფორმდეს ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე.

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 9.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც საჯარო რეესტრის სააგენტო.
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

1.11 საზოგადოებრივი ცენტრების და იუსტიციის სახლის ფილიალების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების გაანგარიშებაში არსებული ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება	სერვისების სააგენტოს 10 საზოგადოებრივი ცენტრის²⁵ და იუსტიციის სახლის 3 ფილიალის²⁶ მშენებლობაზე 2019-2020 წლებში ჩატარებული ელექტრონული ტენდერების საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულია ჯამურად 13,580,101 ლარის ხელშეკრულება, რის ფარგლებშიც 2020 წელს გადახდილმა ანაზღაურებამ 8,306,562 ლარი შეადგინა. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა აღნიშნულ სამუშაოებზე 2020 წელს გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა N2) შესწავლა, შედეგად გამოვლინდა პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო მასალების დანახარჯების არასწორი გაანგარიშება, რის გამოც გადასახდელი თანხა ჯამურად გაზრდილია 54,498 ლარით. 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სერვისების სააგენტოს ანგარიშზე კონტრაქტორ კომპანიებს სრულად აქვთ დაბრუნებული ზედმეტად გადახდილი თანხა – 43,683 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხის – 10,815 ლარის დაბრუნებასთან დაკავშირებით იუსტიციის სახლის მიერ სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიებთან დაწყებულია აქტიური კომუნიკაცია.
მიზეზი	სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის არასწორი გაანგარიშება.
გავლენა	საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკი.
რეკომენდაცია	აუდიტის ობიექტის მიერ სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიებთან შედგეს კომუნიკაცია ხელშეკრულებების კორექტირების და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიზნით.
კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	იუსტიციის სახლი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 არაფინანსური აქტივების არასწორი კლასიფიკაცია

აუდიტის მიგნება	არაფინანსური აქტივების არასწორი კლასიფიკაციის შემთხვევები: სპეციალური პენიტენციური სამსახურის ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში მშენებარე პენიტენციურ დაწესებულებაზე გაწეული სამუშაოების ღირებულება – 3,145,418 ლარის ოდენობით. შენობა არ არის შესული ექსპლუატაციაში,
-----------------	---

²⁵ აბაშის, ასპინძის, ბაღდათის, დედოფლისწყაროს, ვანის, ნინოწმინდის, ჩოხატაურის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხობის საზოგადოებრივი ცენტრები.

²⁶ ქარელის, წყალტუბოს და გარდაბნის იუსტიციის სახლები.

შესაბამისად, თანხა ნაცვლად ძირითადი აქტივისა, კლასიფიცირებული უნდა იყოს, როგორც სხვა არაფინანსური აქტივი;

- ს) **სპეციალური პენიტენციური სამსახურს და ციფრული მმართველობის სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა არაფინანსური აქტივების (დაუმთავრებელი მშენებლობის) ანგარიშზე 2020 წლის ბოლოს ერიცხებათ, შესაბამისად, 1,547,200 ლარის და 1,368,198 ლარის ფაქტობრივ ექსპლუატაციაში არსებული შენობები, რომლებიც ნაცვლად ძირითადი აქტივებისა, არასწორად კლასიფიცირებულია სხვა არაფინანსური აქტივების ანგარიშზე.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სპეციალური პენიტენციური სამსახური, ციფრული მმართველობის სააგენტო.

2.2 ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა

აუდიტის მიგნება

ძირითად აქტივებზე დასარიცხი ცვეთის გაანგარიშებაში არსებული ნაკლოვანებები:

- ს) **საჯარო რეესტრის სააგენტო** – ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხი ბაზად სააგენტო ნაცვლად ისტორიული²⁷ ღირებულებისა, იყენებს 2012 წლის დასაწყისისთვის არსებულ ნარჩენ ღირებულებებს, შედეგად, საანგარიშო პერიოდში დარიცხული ცვეთის ხარჯი ნაჩვენებია შემცირებულად. წარმოდგენილი ინფორმაციით, ვერ ხორციელდება აქტივების საწყისი ღირებულების დადგენა, შესაბამისად, კორექტირებისთვის საჭირო თანხა ზუსტად ვერ განისაზღვრა;
- ს) **საჯარო რეესტრის სააგენტოს** ახალი სათავო ოფისის შენობაზე²⁸ არ არის დარიცხული ცვეთა 296,744 ლარის ოდენობით;
- ს) **იუსტიციის სახლი** – ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის ბაზად, ნაცვლად ისტორიული ღირებულებისა, გამოყენებულია ნარჩენი საბალანსო ღირებულება, ასევე ცვეთა არ არის დარიცხული 630,288 ლარის ძირითად საშუალებებზე.²⁹ მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შემთხვევაში, გარდა ცვეთის დარიცხვის არასწორი ბაზისა, ასევე არასწორად არის გამოყენებული ცვეთის დარიცხვის კოეფიციენტი – 10%-ის ოდენობით;³⁰
- ს) **სპეციალური პენიტენციური სამსახური** – სპეციფიკური დანიშნულების აქტივების³¹ მხოლოდ ნახევარს აქვს ცვეთა დარიცხული. 2020 წელს დაურიცხავი ცვეთა შეადგენს 28,181 ლარს;
- ს) **სპეციალური პენიტენციური სამსახურის** მიერ 2020 წელს არ მომხდარა განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე

²⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, დანართი N1, მუხლი 2, პუნქტები: „ბ“ და „დ“.

²⁸ ექსპლუატაციაში შესულია 2020 წლის აგვისტოდან.

²⁹ ბრუნვითი უწყისის მიხედვით, საწყობში არსებული ძირითადი საშუალებები.

³⁰ ღირებულება – 10,724,829 ლარი, დარიცხული ცვეთა – 1,072,459 ლარი.

³¹ გარდა ამ ოდენობისა, სამსახურს აქვს 500 ლარზე ნაკლები 215 ერთეული სპეციფიკური დანიშნულების აქტივი, რაც კლასიფიცირებული უნდა იყოს მარაგად.

არამატერიალური აქტივების³² ნაწილსა და ინვენტარის³³ ნაწილზე ცვეთის დარიცხვა, შესაბამისად, 15,900 ლარისა და 168,826 ლარის ოდენობით;

- J 2020 წელს თბილისის იუსტიციის სახლზე არ არის დარიცხული ცვეთა 827,346 ლარის ოდენობით;
- J ციფრული მმართველობის სააგენტოს და მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრის მიერ შენობა-ნაგებობებზე დაურიცხავი ცვეთა 2020 წელს 23,937 ლარს³⁴ შეადგენს.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

საჯარო რეესტრის სააგენტო, სპეციალური პენიტენციური სამსახური, იუსტიციის სახლი, ციფრული მმართველობის სააგენტო, მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი.

2.3 მატერიალური მარაგების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

მარაგების აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებები:

- J საჯარო რეესტრის სააგენტოს მატერიალური მარაგების ანგარიშზე ირიცხება 550,989 ლარის საბალანსო ღირებულების,³⁵ 500 ლარზე მეტი ღირებულების მქონე აქტივები, რომელთა გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია. შესაბამისად, ისინი უნდა კლასიფიცირდეს ძირითად აქტივებად.³⁶

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

საჯარო რეესტრის სააგენტო.

2.4 მოთხოვნების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

მოთხოვნების აღრიცხვისას არსებული ნაკლოვანებები:

- J 2020 წელს სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე სპეციალური პენიტენციურ სამსახურსა და იუსტიციის სახლს უნდა შეემცირებინათ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული, სხვადასხვა ორგანიზაციის დაჯარიმებით წარმოშობილი მოთხოვნები – 102,506 ლარის³⁷ ოდენობით, რაც არ განუხორციელებიათ;
- J საჯარო რეესტრის სააგენტოს მოთხოვნების ანგარიშზე არ აქვს ასახული სასამართლო გადაწყვეტილების³⁸ საფუძველზე მოპასუხისთვის დაკისრებული თანხა 58,800 ლარის ოდენობით.

³² პროგრამული უზრუნველყოფები, ვებგვერდი, ლიცენზიები, სატელევიზიო ვიდეორგოლები და ა.შ., ღირებულებით – 15,900 ლარი.

³³ 517 ერთეულ ინვენტარზე (ნარჩენი ღირებულება – 1,676,568 ლარი, ისტორიული ღირებულება – 1,740,400 ლარი).

³⁴ ციფრული მმართველობის სააგენტო – 13,682 ლარი; მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი – 10,255 ლარი.

³⁵ საჯარო რეესტრის სააგენტო – 550,989 ლარი.

³⁶ სსბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 76 (მიმდინარე აქტივების განმარტება).

³⁷ სპეციალური პენიტენციური სამსახური – 20,248.45 ლარი, იუსტიციის სახლი – 82,258 ლარი (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესამცირებელია მოთხოვნების თანხები).

³⁸ შპს „ფენიქსი“, სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება.

-)/ იუსტიციის სახლის მიერ 2019-2020 წლებში ხარჯად არ არის აღიარებული ქონების გადასახადი, შესაბამისად, 681,738 ლარის და 1,332,310 ლარის³⁹ ოდენობით. გამომდინარე აქედან, „საგადასახადო მოთხოვნების“ და „წმინდა აქტივების“ „კაპიტალის“ მუხლი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,014,048 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;
-)/ საჯარო რეესტრის სააგენტოს საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე არსებული მოთხოვნის ნაშთი ჯამურად 1,356,721 ლარით მეტია 2020 წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საგადასახადო მოთხოვნების ნაშთზე.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სპეციალური პენიტენციური სამსახური, საჯარო რეესტრის სააგენტო, იუსტიციის სახლი.

2.5 ვალდებულებების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

კრედიტორული დავალიანების აღრიცხვისას გამოვლენილი ნაკლოვანებები:

-)/ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 2020 წელს განხორციელებული ვალდებულებების წარმოშობის ოპერაციების ნაწილი, ნაცვლად 2020 წლისა,⁴⁰ ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს 2021 წელს, ჯამური თანხით – 1,333,840 ლარი, შესაბამისად, ვალდებულებების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემცირებულად არის წარმოდგენილი;
-)/ სერვისების სააგენტოს მიერ 2020 წლის ბოლოს არ არის გადაფასებული უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებები. შედეგად, ვალდებულებების საბოლოო ნაშთი 686,574 ლარით⁴¹ შემცირებულად არის წარმოდგენილი;
-)/ სერვისების სააგენტოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ვალდებულებების სახით არ არის აღიარებული 2020 წლის ბოლოს დასრულებული სასამართლო დავების შედეგად დაკისრებული თანხები – 178,229 ლარის ოდენობით.⁴²

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, სერვისების სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო, სპეციალური პენიტენციური სამსახური.

2.6 შემოსავლების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

საჯარო რეესტრის სააგენტოს და სერვისების სააგენტოს 2020 წლის შემოსავლების აღრიცხვაში გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

³⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“, მუხლი 56.

⁴⁰ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (დარიცხვის მეთოდის განმარტება).

⁴¹ სსბასს 4 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები, პუნქტი 44.

⁴² სერვისების სააგენტო - 142,370 ლარი; აღსრულების ეროვნული ბიურო - 35,859 ლარი.

- სხვადასხვა შემოსავლის სახით აღიარებულია 2020 წელს დაუმთავრებელი მშენებლობიდან შენობა-ნაგებობების ანგარიშზე რეკლასიფიკაციის თანხა – 28,236,277 ლარი, რაც არ წარმოადგენს შემოსავლის ოპერაციას;⁴³
- 2020 წელს სააგენტოს მიერ საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული საკასო შემოსავალი (დღგ-ის გარეშე) შეადგენს 33,581,128 ლარს, ხოლო ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში მუხლში – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა“, აღიარებულია მხოლოდ 6,485,409 ლარი;
- სერვისების სააგენტოს** 26,345 ლარის შემოსავალი, ნაცვლად სანქციებით და ჯარიმებით მიღებული შემოსავლებისა, ასახული აქვს მუხლში „შემოსავლები შიდა ტრანსფერებით“.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

საჯარო რეესტრის სააგენტო, სერვისების სააგენტო.

2.7 ხარჯების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

ხარჯებთან მიმართებით გამოვლენილია შემდეგი გარემოებები:

- იუსტიციის სახლის** მიერ ხარჯების ანგარიშზე არ არის აღიარებული 2020 წლის ქონების გადასახადის თანხა – 1,332,310 ლარი;⁴⁴
- სერვისების სააგენტოს** მიერ გადაფასებული არ არის უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებები, რის შედეგადაც 2020 წელს ხარჯად არ არის აღიარებული 686,574 ლარი;⁴⁵
- აღსრულების ეროვნულ ბიუროს** 2020 წელს 500 ლარზე ნაკლები 1,402,683 ლარის ღირებულების ექსპლუატაციაში არსებული გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერა, ნაცვლად წინა პერიოდის არსებითი შეცდომის რეტროსპექტულად გასწორებისა,⁴⁶ ასახული აქვს 2020 წლის ხარჯებში;
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს** 2020 წლის ინვენტარიზაციის საფუძველზე აღმოჩენილი, წინა პერიოდებში შეცდომით აღრიცხული 719,986 ლარის მატერიალური მარაგის არარეალური დანაკლისი, ნაცვლად წინა პერიოდის არსებითი შეცდომის რეტროსპექტულად გასწორებისა,⁴⁷ ასახული აქვს 2020 წლის ხარჯებში;
- საჯარო რეესტრის სააგენტოს** ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში 650,095 ლარის მატერიალური მარაგების ჩამოწერის ოპერაცია შეცდომით დუბლირებულად არის ასახული, როგორც „საქონელი და მომსახურების“, ასევე სხვადასხვა ხარჯებში, შესაბამისად, გაზრდილია ჯამური ხარჯების

⁴³ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, მუხლი 7 (შემოსავლის განმარტება).

⁴⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“, მუხლი 56.

⁴⁵ სსბასს 4 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები, პუნქტი 44.

⁴⁶ სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, პუნქტი 47.

⁴⁷ სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, პუნქტი 47.

თანხაც. გარდა ამისა, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში სააგენტოს არ არის აქვს ასახული ხარჯი – 238,074 ლარის ოდენობით;

- ს) სპეციალური პენიტენციური სამსახურის, სერვისების სააგენტოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ხარჯების არასწორ საანგარიშგებო პერიოდში⁴⁸ ასახვის გამო,⁴⁹ 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები ჯამურად გაზრდილია 2,610,451 ლარის⁵⁰ ოდენობით;
- ს) სპეციალური პენიტენციური სამსახურის და იუსტიციის სახლის მიერ ხარჯების არასწორი კლასიფიკაციის შედეგად, „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ნაცვლად 420,580 ლარის ხარჯი⁵¹ აღიარებულია მუხლში – „გრანტები, ტრანსფერები (სხვა ხარჯები) და სუბსიდიები“.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სპეციალური პენიტენციური სამსახური, საჯარო რეესტრის სააგენტო, სერვისების სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო, იუსტიციის სახლი.

2.8 სრულად ფლობილ სახელმწიფო საწარმოებში არსებული წილების კონსოლიდაცია კაპიტალ-მეთოდით

აუდიტის მიგნება

სამინისტროს მიერ წარდგენილ 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ების მფლობელობაში არსებული სახელმწიფო საწარმოები არ არის კონსოლიდირებული კაპიტალ-მეთოდით, სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად;⁵²

- ს) დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს 2020 წელს არ განუხორციელებია მის მიერ დაფუძნებულ შპს „პერსპექტივაში“ არსებული 825,000 ლარის⁵³ გრძელვადიანი ფინანსური აქტივის კორექტირება შპს-ის აკუმულირებული ზარალით, რომელმაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 229,656 ლარი შეადგინა. შესაბამისად, გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ანგარიში 229,656 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;
- ს) მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრის მიერ 2020 წელს დაფუძნებული შპს „თოლია-2020“-ის 2020 წლის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 15,687 ლარს,⁵⁴ აღნიშნული თანხით არ არის კორექტირებული მუხლი „ვალდებულებები აქციებით და კაპიტალით“.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო, მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი.

⁴⁸ 2019 წელს განხორციელებული ოპერაციების ნაწილი ასახულია 2020 წელს, ხოლო 2020 წლის ოპერაციების ნაწილი არ არის ასახული შესაბამის პერიოდში.

⁴⁹ სპეციალური პენიტენციური სამსახური - 1,880,918 ლარი; სერვისების სააგენტო - 637,938 ლარი; აღსრულების ეროვნული ბიურო - 91,595 ლარი.

⁵⁰ სსბას 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (დარიცხვის მეთოდის განმარტება).

⁵¹ იუსტიციის სახლი: დასუფთავების მოსაკრებელი - 55,566 ლარი, ნაცვლად „სხვა ხარჯებისა“, აღიარებულია „საქონელი და მომსახურების“ ხარჯებში; სპეციალური პენიტენციური სამსახური: 255,943 ლარის ტრანსპორტის დაზღვევის ხარჯი, ნაცვლად „სხვა ხარჯისა“, ასახულია „საქონელი და მომსახურების“ ხარჯებში, ხოლო დასუფთავების მომსახურების ხარჯი - 732,089 ლარი, „საქონელი და მომსახურების“ ხარჯის ნაცვლად, ასახულია „სხვა ხარჯებში“.

⁵² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 46.

⁵³ შპს-ის დაფუძნებიდან (2012 წლიდან) განხორციელებული შენატანები.

⁵⁴ 2020 წელს სსიპ-ის მიერ განხორციელებული შენატანი შპს-ში 86,000 ლარს შეადგენს, საიდანაც 68,000 ლარი გადარიცხულია სუბსიდიის, ხოლო 18,000 ლარი - კაპიტალური ტრანსფერის სახით.

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

3.1 სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული გადასახადები

აუდიტის მიგნება

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“⁵⁵ კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა ყოველი კვარტლის ბოლოს კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების 10% უნდა მიმართონ სახელმწიფო ბიუჯეტში. სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ების მიერ 2020 წელს მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 114,694,287 ლარი შეადგინა,⁵⁶ შესაბამისად, წლის განმავლობაში ბიუჯეტში მიმართვას ექვემდებარებოდა 11,469,429 ლარი, რაც 2020 წელს არ განხორციელებულა. სამინისტროს განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი იყო 2020 წელს არსებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო სერვისების გაცემის შეჩერება, რამაც სსიპ-ების შემოსავლები მნიშვნელოვნად შეამცირა და არ არსებობდა საკმარისი რესურსი მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ-ების ფულადი სახსრების ანგარიშზე არსებული ნაშთი 2020 წლის ბოლოს 8,593,209 ლარს შეადგენდა.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ეროვნული არქივი, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, ციფრული მმართველობის სააგენტო, დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო, იუსტიციის სახლი, საჯარო რეესტრის სააგენტო, სერვისების სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო.

3.2 ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის არარსებობა

აუდიტის მიგნება

იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ითვლებიან კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტებად,⁵⁷ არ გააჩნიათ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,⁵⁸ რაც დამატებით წარმოშობს რისკებს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, სპეციალური პენიტენციური სამსახური.

⁵⁵ მუხლი 35, პუნქტი 1.

⁵⁶ საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, საპროცენტო შემოსავალი (არ მოიცავს სისტემის შიდა ოპერაციებს).

⁵⁷ „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება N312, 29.04.2014.

⁵⁸ 6391-ლს (05.06.2012), მუხლი 4.

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნას საინვენტარიზაციო კომისიები და უზრუნველყოს: • სასაქონლო-მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი აქტივების ფაქტობრივი აღწერა (3 წელიწადში ერთხელ – უძრავი ქონების); • ზედმეტობა-დანაკლისებზე შემდგომი რეაგირება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება; • დებიტორებთან/კრედიტორებთან ურთიერთშეძარების აქტების გაფორმება; • ხანდაზმული დავალიანებების ბალანსგარეშე საცნობარო მუხლში გადატანის საკითხის გადაწყვეტა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული. (საჯარო რეესტრის სააგენტოში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 2020 წელს არ ჩაუტარებია მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია).
რეკომენდაცია	შენობის ექსპლუატაციაში მიღების პრობლემის აღმოფხვრის, ფაქტობრივ სარგებლობასთან და სწორად აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, იუსტიციის სახლის მიერ განხორციელდეს თბილისის იუსტიციის სახლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზის/ნაკლოვანების იდენტიფიცირება, შედგეს დროში გაწერილი გეგმა და შესაბამისი ბიუჯეტი აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად. მნიშვნელოვანია ურთიერთშეძარების საფუძველზე, დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე აღრიცხულ სამუშაოთა ღირებულებები გადაეცეს იუსტიციის სახლს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული. (2021 წელს საჯარო რეესტრის სააგენტოს და სერვისების სააგენტოს ბალანსზე რიცხული, თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე გაწეული სამუშაოების ღირებულება გადაცემულია იუსტიციის სახლზე, თუმცა არ დასრულებულა შენობის ექსპლუატაციაში მიღების პროცედურა).
რეკომენდაცია	მოქმედი საკანონმდებლო აქტების და სტანდარტების მოთხოვნათა შესრულებისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად წარედგინოს ისეთი ქონების ცვეთის ნორმების პროექტი, რომელთა მიმართ შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია ცვეთის ერთგვაროვანი ნორმების გამოყენება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული (აღსრულების ეროვნული ბიურო და სპეციალური პენიტენციური სამსახური სპეციფიკური დანიშნულების აქტივებზე 2020 წლიდან იყენებენ, შესაბამისად,

	8%-იან და 5%-იან ცვეთის ნორმებს, თუმცა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ აქტივებზე ცვეთა სრულად არ არის დარიცხული).
რეკომენდაცია	ფინანსურ ანგარიშგებაში უძრავი ქონების აღრიცხვის სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და საჯარო რეესტრის სააგენტომ განახორციელონ ღირებულების გარეშე არსებული ქონების შეფასება და ბალანსზე ასახვა. ამასთანავე, რესურსების დაზოგვის მიზნით, მიზანშეწონილია სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიწების შეფასებისას იხელმძღვანელოს შესაბამისი მუნიციპალიტეტების დადგენილებებით განსაზღვრული ნორმატიული ფასებით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული. (საჯარო რეესტრის სააგენტოს მიწების შეფასება არ განუხორციელებია).
რეკომენდაცია	სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, ანგარიშგების მომზადებისას, მოხდეს შიდაჯგუფური ოპერაციების იდენტიფიცირება. ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას აღნიშნული ოპერაციების/ნაშთების ელიმინირების მიზნით, სამინისტროს საბალანსო ერთეულებმა უზრუნველყონ განხორციელებული ოპერაციებისა და არსებული ნაშთების ურთიერთშედარება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული რეკომენდაცია.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით, სამინისტროს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული რეკომენდაცია.
რეკომენდაცია	იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, შიდა აუდიტის წლიური გეგმით განისაზღვროს „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა საქმიანობა (დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება, ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სისრულის და სიზუსტის შეფასება და ა.შ.).
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული. (საჯარო რეესტრის სააგენტოს 2021 წელს შემუშავებული აქვს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის დებულების პროექტი, ასევე სერვისების სააგენტოს მიერ - კონკურსის საფუძველზე დანიშნულია IT აუდიტორი).

რეკომენდაცია	შემოსავლების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით: • სერვისებისა და საჯარო რეესტრის სააგენტოებმა უზრუნველყონ ისეთი IT სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით; • სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების ოპერატიული და სრულყოფილი კონტროლის, ასევე შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მომზადების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია	აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ცენტრალურ საწყობსა და ყველა იმ ქვედანაყოფზე, სადაც ხდება ფასეულობების მიღება, შენახვა და განაწილება, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან გაფორმდეს ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული რეკომენდაცია.
რეკომენდაცია	რესურსების ეკონომიურად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო რეესტრის სააგენტომ შეიტანოს კორექტირება სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ღირებულებები შემცირდეს ზემოთ მითითებული თანხების (279,287 ლარი) ფარგლებში, ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული რეკომენდაცია.
რეკომენდაცია	სამინისტრომ და საბალანსე ერთეულებმა უზრუნველყონ, რომ უახლოეს მომავალში მიღებულ იქნეს დეტალიზებული, ორგანიზაცი(ებ)ის ძირითადი ოპერაციების ამსახველი სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული (სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებული და დამტკიცებული აქვთ მხოლოდ სამინისტროს აპარატს, ეროვნულ არქივს, მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრს და ციფრული მმართველობის სააგენტოს).

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ლევან შუბითიძე ჯგუფის უფროსი ელ.მისამართი: Lshubitidze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE